

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/10

(ოქმი N 15)

ქ. ბათუმი

05 აგვისტო 2021 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს
თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში ალექსანდრე მითაიშვილის
სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

სარეზოლუციო ნაწილი:


„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების შესაბამისად, სააპელაციო კომისიამ (მრჩველთა საბჭო) დაადგინა:

1. განუხილველი დარჩეს ალექსანდრე მითაიშვილის სააპელაციო საჩივარი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია გამოცხადებისთანავე და მისი გასაჩივრება თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში დაუშვებელია.
3. დასაბუთებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირებს ჩაბარდეთ მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი



ალექსანდრე მითაიშვილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-სწინააღმდეგ.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი;

მრჩეველთა საბჭოს წევრები: თამილა დოლიძე, გია ქარცივაძე;

მხარეები:

სააპელაციო საჩივრის ავტორი ალექსანდრე მითაიშვილი და მისი წარმომადგენელი მინდია ალელიშვილი;

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ახალი ამბების სამსახურის რეპორტიორი, ჯენი კვანტალიანი;

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 04 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსანდრე მითაიშვილმა. განცხადების ავტორი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ „2021 წლის 01 ივნისს 20:00 საათზე, თქვენი ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დაკავშირებით, რომლის საფუძველიც (იგულისხმება ბსუ-ს შიდა აუდიტის დასკვნა) და სიუჟეტიც წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად. აღნიშნული სიუჟეტით შეილახა არამართო ჩემი არამედ უნივერსიტეტის იმიჯიც, სიუჟეტში საუბარია ჩემი სამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტით (TOYOTA COROLA LL-949-LC -ით) ორ ტონა ნახევარი საწვავის დახარჯვასა და ამავე ავტომანქანის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, თვითღირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის დასკვნა, რომელიც ატვირთულია ელექტრონული სისტემა Eflow.emis.ge-ში, საუბარია ზემოაღნიშნული ტრანსპორტის 2020 წლის წლიურ ლიმიტზე -2480 ლიტრ ბენზინზე და დახარჯულ 159 ლიტრ ბენზინზე. სიუჟეტში კი საუბარია ჩემ მიერ ორტონა ნახევარი საწვავის არაკანონიერ ხარჯვაზე, აღსანიშნავია, რომ 2004 წელს TOYOTA COROLA LL-949-LC -ით დაზოგილია 2321 ლიტრი ბენზინი და ასევე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე წინა წლებთან შედარებით არის მნიშვნელოვანი კლება (იხილეთ დანართი 2 საწვავის ხარჯი -1 ფურცელი). რაც შეეხება ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შეძენის მიზნით დახარჯულ თანხებს, 2020 წლის 16 დეკემბერს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევა დაგზავნილი იქნა ქ. ბათუმში მოქმედ 12 კომპანიასთან, რის შედეგადაც განისაზღვრა პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად მომზადდა და 2020 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა ერთიანი ელექტრონული ტენდერი NAT200203202- სახელშეკრულებო ღირებულებით 60 000 ლარი, რომლის სრულად ათვისების ვალდებულებას აღნიშნული ელექტრონული ტენდერი არ ითვალისწინებდა.

ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა, ხუთმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები და დისკვალიფიკაცია მიიღო ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიკაციის გათვალისწინება ერთ-ერთმა პრეტენდენტმა გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში, რაც დავების განხილვის საბჭოს მიერ არ დაკმაყოფილდა და ტენდერის პროცედურები გაგრძელდა. მეექვსე პრეტენდენტმა შპს „პროგრესინვესტმა“ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ასევე ადგილზე მატერიალური ტექნიკური ბაზის გადამოწმებით, დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N56 ხელშეკრულება. ბსუ-ს სატენდერო კომისიის თითოეული გადაწყვეტილება თანმდევი დოკუმენტაციით ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. (სატენდერო განცხადება NAT200203222). აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კონტროლის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების შესაბამისად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით 2021 წლის 21 აპრილს შეიქმნა მიღება-ჩაბარების კონტროლის განმახორციელებელი კომისია. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომისიური წესით და არა უშუალოდ პირადი ჩემი ინტერესით როგორც ეს სიუჟეტშია გაშუქებული. რაც შეეხება 17:05 საათზე ჩემს სამუშაოზე არყოფნას, გაცნობებთ, რომ პანდემიის პერიოდში ბსუ-ში სამუშაო საათები განისაზღვრა 10:00 საათიდან 17:00 საათამდე და სამუშაოს დამთავრების პერიოდში აღნიშნული მიზეზით არ ვმყოფებოდი. ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ 2021 წლის 01 ივნისს 20:00 საათზე გასული სიუჟეტით შეილახა ჩემი პრესტიჟი, რის გამოც ვითხოვ ამავე ეთერით საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას ჟემმარიტების დადგენისა და ჩემი შელახული ავტორიტეტის დაცვის მიზნით მიემართო ალტერნატიულ ტელევიზიებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, სასამართლოს და ა.შ.).

აღნიშნული განცხადების საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის 2021 წლის 08 ივნისის 02-09/76 ბრძანების თანახმად შეიქმნა თვითრეგულირების კომისია.

კომისიის მიერ ახალი ამბების სამსახურიდან (რეპორტიორი ჯენი კვანტალიანი) გამოთხოვილი იქნა გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ სადაო აუდიტის დასკვნა;

ამავე დროს გამოკითხული იქნა 2021 წლის 15 ივნისს ახალი ამბების რეპორტიორი ჯენი კვანტალიანი (სადაო სიუჟეტის ავტორი), რომელიც არ დაეთანხმა ალექსანდრე მითაიშვილის განცხადებას.

კომისიის სხდომაზე, კომისიის მითითებით, მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა თავდაპირველი მოთხოვნა (გასული სიუჟეტით შეილახა ჩემი პრესტიჟი, რის გამოც ვითხოვ ამავე ეთერით საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას

ქეშმარიტების დადგენისა და ჩემი შელახული ავტორიტეტის დაცვის მიზნით მოვმარაოე ალტერნატიულ ტელევიზიებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, სასამართლოს და ა.შ). და მოითხოვა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე ფაქტების უარყოფა;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილმა საჩივრების განმხილველმა კომისიამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

განმცხადებელი თავის საჩივარში მიუთითებს სამ უზუსტობაზე, რომელთან დაკავშირებითაც კომისიის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი სადაო ფაქტობრივი გარემოებები:

თავის განცხადებაში საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „.....კერძოდ, სიუჟეტში საუბარია ჩემი სამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტით (TOYOTA COROLA LL-949LC) ორ ტონა ნახევარი საწვავის დახარჯვასა... საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის დასკვნა, რომელიც ათვირთულია ელექტრონული სისტემა EFLOW.EMIS-GE-ში საუბარია ზემო აღნიშნული ტრანსპორტის 2020 წლის წლიურ ლიმიტზე - 2480 ლიტრა ბენზინზე და დახარჯულ 159 ლიტრა ბენზინზე, სიუჟეტში კი საუბარია ჩემ მიერ ორ ტონა ტონა ნახევარი საწვავის არაკანონიერ ხარჯვაზე. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს TOYOTA COROLA LL-949-LC -ით დაზოგილია 2321 ლიტრა ბენზინი და ასევე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე წინა წლებთან შედარებით არის მნიშვნელოვანი კლება. კომისიამ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ სიუჟეტში საუბარი არ არის მხოლოდ TOYOTA COROLA LL-949-LC, სიუჟეტში ავტორი ცალსახად მიუთითებს, რომ საუბარია მომჩივნის მიერ მის განკარგულებაში არსებულ ავტომანქანებზე: კომისიის სხდომაზე დაადასტურა და სადაო არ არის რომ მომჩივანს ასევე გამგებლობაში ჰყავდა ტოიოტა პრადო, რომლის სახელმწიფო ნომერია KL 797 LK, რომელზეც დახარჯული იქნა 2301 ლიტრი, ხოლო ორივე ავტომანქანაზე საჩივრის ავტორის მიერ დახარჯული იქნა 2460 ლიტრი საწვავი;

მეორე გარემოება, რომელზედაც მხარე მიუთითებს, მდგომარეობს შემდეგში: „კერძოდ სიუჟეტში საუბარია... ამავე ავტომანქანის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, თვითღირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვასთან დაკავშირებით... რაც შეეხება ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შეძენის მიზნით დახარჯულ თანხებს, 2020 წლის 16 დეკემბერს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევა დაგზავნილი იქნა ქ. ბათუმში მოქმედ 12 კომპანიასთან, რის შედეგადაც განისაზღვრა პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად მომზადდა და 2020 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა ერთიანი ელექტრონული ტენდერი NAT2000203202-სახელმწიფო ღირებულებით 60 000 ლარი, რომლის სრულად ათვისების ვალდებულებას აღნიშნული ელექტრონული ტენდერი არ ითვალისწინებდა. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა, ხუთმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები და დისკვალიფიკაცია მიიღო ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიკაცია ერთ-ერთმა პრეტენდენტმა გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში, რაც დავების განხილვის საბჭოს მიერ არ

დაკმაყოფილდა და ტენდერის პროცედურები გაგრძელდა. მე-6 პრეტენდენტმა შპს „პროგრესინვესტმა“ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ადგილზე მატერიალური ტექნიკური ბაზის გადამოწმებით დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N56 ხელშეკრულება. ბსუ-ს სატენდერო კომისიის თითოეული გადაწყვეტილება თანმდევი დოკუმენტაციით ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (სატენდერო განცხადება NAT2000203222) აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კონტროლის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების შესაბამისად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით 2021 წლის 21 აპრილს შეიქმნა მიღება-ჩაბარების კონტროლის განმახორციელებელი კომისია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომისიური წესით და არა უშუალოდ პირადი ჩემი ინტერესით, როგორც ეს სიუჟეტშია გაშუქებული.” აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიამ განმარტა, რომ სიუჟეტის ავტორის მიერ აღნიშნული ავტომანქანის გარემონტებასთან დაკავშირებით სრულად აქვს აუდიტის დასკვნა მოყვანილი და ამავე დროს მისი კომენტარი შემოიფარგლა აუდიტის დასკვნაშიც მითითებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ „რატომ გახდა აუცილებელი, ავტომანქანაზე, რომლის ექსპლუატაცია ატარებს ეპიზოდურ ხასიათს, დახარჯულიყო მკაცრი ეკონომიის პირობებში საბალანსო ღირებულების ტოლი ფინანსური რესურსი (?); ასევე როგორც ფაქტი ისე არის მოყვანილი ის გარემოება აუდიტის დასკვნიდან, რომ ბსუ-ს მიერ მოხდა 5 კომპანიის დისკვალიფიკაცია რომელთა მიერ შემოთავაზებული მომსახურების ღირებულება ხშირ შემთხვევაში 2-ჯერ ნაკლები იყო შპს „პროგრეს ინვესტის შეთავაზებაზე“;

რაც შეეხება მესამე სადაო ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „რაც შეეხება 17:05 საათზე ჩემს სამუშაოზე არ ყოფნას, გაცნობებთ, რომ პანდემიის პერიოდში ბსუ-ში სამუშაო საათები განისაზღვრა 10:00 საათიდან 17:00 საათამდე და სამუშაოს დამთავრების პერიოდში აღნიშნული მიზეზით არ ვიმყოფებოდი.” აღნიშნულთან დაკავშირებითაც კომისიამ გაიზიარა სიუჟეტის ავტორის პოზიცია, რომ მოცემულ შემთხვევაში სიუჟეტის ავტორის მხრიდან დროზე აპელირება განხორციელდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიუჟეტში დაფიქსირებულიყო საჩივრის ავტორის პოზიცია; სიუჟეტის ავტორმა ყველა რესურსი გამოიყენა აღნიშნულთან დაკავშირებით, იყო მომჩივნის კაბინეტთან სამუშაო საათებში, სცადა დაკავშირებოდა მომჩივანს და სატელეფონო კომენტარი მაინც ჩაეწერა, თუმცა მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა; კომისიამ გაიზიარა სიუჟეტის ავტორის პოზიცია (ეს სიუჟეტიდანაც დასტურდება), რომ სიუჟეტის ავტორი 17:00 - მდე იმყოფებოდა უნივერსიტეტში.

კომისიამ გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი უფროსის ალექსანდრე მითაიშვილის 2021 წლის 04 ივნისის N02-14/230 განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2021 წლის 01 ივნისს 20:00 საათიან საინფორმაციო გადაცემა „მთავარში“ გასულ ჯენი კვანტალიანის სიუჟეტთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდეს.

კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება 2021 წლის 6 ივლისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა ალექსანდრე მითათვიძელმა. სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოში თვითრეგულირების კომისიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით რომ თითქოსდა არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საჩივარში ასევე მითითებულია:

„ჩემი საჩივარი შედგებოდა სამი კომპონენტიდან, კერძოდ:

1. სიუჟეტში გავიდა თითქოსდა ჩემ განკარგულებაში არსებული ავტომანქანებზე გამოყოფილი საწვავის ლიმიტის გადახარჯვაზე, „სიუჟეტში ნათქვამია ორ ნახევარი ტონა საწვავის ხარჯვა“ თვითრეგულირების კომისიამ დაასკვნა რომ თითქოსდა სიუჟეტში არ ყოფილა ნათქვამი სიტყვა ორ ტონა ნახევარი, ასევე დაასკვნა, რომ საუბარი იყო მეორე მანქანაზეც (ტოიოტა პრადო), რომელიც საერთოდ არ არის ნახსენები სიუჟეტში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავ, რომ საწვავი ორ ნახევარი ტონა და ლიტრობა განსხვავდება, ანუ ორ ნახევარი ტონა ბენზინი შეიძლება იყოს დაახლოებით 3300 ლიტრი. ასევე სიუჟეტში არის საუბარი ტოიოტა კოროლაზე, რომელიც ჩემ განკარგულებაში კი იყო, მაგრამ არ ვსარგებლობდი და საერთოდ არ არის საუბარი სხვა მანქანაზე.

2. სიუჟეტში საუბარია თითქოსდა ჩემი მხრიდან მოხდა ავტომანქანებზე სარემონტო ხაეჯების გადახარჯვა, მაშინ როცა აღნიშნული წყდება კომისიური წესით, დეფექტური აქტების შედგენით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ტენდერით (ბსუ-ში შექმნილი იყო სატენდერო კომისია) და არანაირ გადახარჯვას და ჩემი მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღებას ადგილი არ ჰქონია. თვითრეგულირების კომისიამ დაასკვნა, რომ სიუჟეტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოება შეესაბამებოდა აუდიტის დასკვნას, მაშინ, როდესაც შიდა აუდიტის დასკვნა კარდინარულად განსხვავდება დოკუმენტისაგან, რომლითაც აპელირდება ჟურნალისტი. მაშინ, როცა სიუჟეტის მსვლელობის აქცენტი გაკეთებული იყო კონკრეტულად ჩემზე და საერთოდ არ არის ნახსენები ის გარემოება, რომ მე მართლ არ ვღებულობდი ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებებს.

3. სიუჟეტში ჟურნალისტი თითქოსდა დამიკავშირდა სამუშაო საათებში და აღნიშნა, რომ მე სამუშაო საათებში ადგილზე არ ვიმყოფებოდი, მაშინ, როცა სამუშაო საათები დადგენილი იყო დღის 10 საათიდან 17 საათამდე და სწორედ 17:05 საათზე მიკავშირდება ჟურნალისტი (სიუჟეტშიც ჩანს და აღნიშნავს ჟურნალისტი, რომ ახლა არის 17:05 საათი) და აკეთებს კომენტარს, რომ მე სამუშაო საათებში არ ვიმყოფებოდი სამუშაო ადგილზე. გაუგებარია, თვითრეგულირების კომისიის დასკვნა, იმაზე, რომ თითქოსდა ჟურნალისტი ცდილობდა ჩემთან კომენტარის ჩაწერას, ვერ მნახა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ჩემთან დაკავშირება. სიუჟეტში ნათლად ჩანს, რომ ჟურნალისტი რეკავს ჩემთან და აფიქსირებს კონკრეტულ საათს 17:05 საათს და ამის შემდეგ აღნიშნავს, რომ მე სამუშაო საათების დროს არ ვიმყოფებოდი სამუშაო ადგილზე.

მიმაჩნია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ თვითრეგულირების კომისიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება არის ტენდენციური, არ ეფუძნება კონკრეტულ ფაქტებს, და ემსახურება თავისი ჟურნალისტის ინტერესების

დაცვას, შესაბამისად ის უნდა გაუქმდეს და დაკმაყოფილებული უნდა იქნას ჩემი პირვანდელი საჩვარი.”

ალექსანდრე მითაიშვილის სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩველთა საბჭოს მორიგი სხდომა მოწვეული იქნა 2021 წლის 05 აგვისტოს, რომლის თაობაზეც მრჩველთა საბჭოს განცხადება გამოქვეყნდა მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე. მხარეებს ასევე გაეგზავნათ შეტყობინებები.

სხდომაზე გამოცხადებულმა ალექსანდრე მითაიშვილმა მხარი დაუჭირა თავის საჩივარს.

სამოტივაციო ნაწილი:

მრჩველთა საბჭოს მიერ საჩივრის არსებითად განხილვის დაწყებამდე შემოწმდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩველთა საბჭოში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, მოქალაქე ალექსანდრე მითაიშვილს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილველი კომისიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2021 წლის 24 ივლისს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „კომისიის მიერ საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში 7 სამუშაო დღის ვადაში (გადაწყვეტილების მიღებიდან), სააპელაციო კომისიაში”.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში ცალსახად და გარკვევით იყო მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და ვადის თაობაზე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-სსსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩველთა საბჭოში (სააპელაციო კომისია) ალექსანდრე მითაიშვილის სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 06 ივლისს. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2021 წლის 05 ივლისი. შესაბამისად, საჩივარი წარმოდგენილია დადგენილი ვადის დარღვევით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება გასაჩივრების ვადის გაგრძელებას ან აღდგენას არ ითვალისწინებს.

მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს გასაჩივრების დადგენილი ვადის აღდგენის შესაძლებლობებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის

დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

აღნიშნულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ არ არის მითითებული რაიმე არსებითი გარემოება და შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა საპატიო მიზეზს. შესაბამისად, ვადის აღდგენის რაიმე საფუძველი არ არსებობს.

მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ ალექსანდრე მითაიშვილის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, რადგანაც დარღვეულია სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის ვადა, კერძოდ: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის ვადაა გადაწყვეტილების მიღებიდან 7 სამუშაო დღე. აპელანტ მხარეს კომისიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2021 წლის 24 ივლისს და მის მიერ სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 2021 წლის 05 აგვისტო.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი

